№ 247 26 ნოემბერი, პარასკევი. 1866—1882 26 ნოემბერი, პარასკევი. № 247.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში ... კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ... (გერასიმე) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ... ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

... ერთ მწკრივზე ... კაპ. ...

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს ... წერილებს. ... წერილს რედაქცია ... უკანვე.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და ... ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## სამღვდელოთ ეპარქიალური კრება

კრება მეორე, 24 ნოემბერს.

დღეს კრება გაიხსნა დილის 10 საათზედ. მ. ხელიძემ თავსმჯდომარეობაზედ უარი განაცხადა—ავად-მყოფობის გამო; ამისთვის მისი კანდიდატი მ. ხელაიევი თავსმჯდომარეობდა... წაკითხულ იქმნენ კრებისგან გასარჩევი კითხვები:

ა) ეპარქიალური ქალების სასწავლებლის სამმართველოსთვის ორი წევრის ამორჩევა (ჯერ მ. მ. სტასი და მღებრიევი აირჩიეს; შემდეგ კი სტასის მაგიერ მ. მლიევი ამჯობინეს).

ბ) სემინარიის აწინდელი სახლის გამქირავებელი და ახალი სახლის ამშენებელი კომისსიისათვის ორი წევრის ალრჩევა (ალრჩეულ იქმნენ მ. მ. ღეკანოზი პავლიევი და ზუმბულიძე).

გ) ქალების ეპარქიალური სასწავლებლის მოსამზადებელი კლასსების გადატანა მცხეთაში და მესამე ნორმალური კლასის გამართვა.

პირველი ორი კითხვა რომ ულაპარაკოდ არ გადაწყდა, რასაკვირველია, მესამე კითხვის გადაწყვეტა მეტს ლაზ-ღალებას მოინდომებდა.

აქ შეიქნა ტფილისის ოლქის და კახეთის სამღვდელოების შორის ჩოჩქოლი, უთანხმოება. ამ გარემოებას ქართლის სამღვდელოებამ ჯერ ყური არ ათხოვა; შემდეგში კი გაერია, მაგრამ გვიან. საზოგადოდ ყველანი თავის და გვარად სჯიდნენ. მღ. მ—ძე ურჩევდა მოსამზადებელი კლასსების ტფილისში დარჩენას, მესამე კლასსის გახსნას და ამისათვის სახლის გადიდებას ეკკლესიების და მონასტრების ხარჯით. ბლალოჩ. გ—ვი ამჯობინებდა: მოსამზადებელი კლასსების მცხეთაში გადატანას, რადგან მცხეთაში სადგომიც იშოვება მშვენიერია ჰავა, წყალი, ყოველგვარი საკვებავის ადვილად და იაფად შეიძლება მოპოება ახლო მდებარე სოფლებში; ქრისტიანობრივი ზნეობის დამყარება მოსწავლე ქალებში, განშორება ქალაქის აღშფოთებისაგან—ყოველი ესე გადატანის სასარგებლოდ მიმოთქმიანო. ბლალოჩ. დ—ვი, მღ. ი—ვი, ბ—ვი და ზოგი სხვანიც ამ აზრზედ იდგნენ. მეტადრე დეკ. მ—ვი და ბლალოჩ. დ—ვი თავგამოდებით იცავდნენ ამ აზრს, რომლის წინაალმდეგნი იყვნენ ტფილისის და კახეთის სამღვდელოება. დიდხანს იდავეს და ბოლოს ხმის შეკრებით ალმოჩნდნენ მსურველნი მოსამზადებელი კლასსის მცხეთაში გადატანისა 20, ტფილისში დარჩომისა 23. ამის დავვარ დადგინდა გარდაწყვეტილებაც.

ვარ ჰყვეს მცხეთა, მშობელი აწინდელის ქალების სასწავლებლისა; გამარჯვებულთ სახე უბრწყინავდათ. მეტი არ იქნება, ვსთქვათ რომ ეს გარდაწყვეტილება უფრო ჯიბრით, პირადი შეხედულობისაგან მოხდა, ვიდრე სიმართლის ალიარებით და განსჯით.

1870 წ. მცხეთაში რომ არსებობდა ქალების სკოლა, როდესაც ჯერ რკინის გზაც არ იყო, რამდენიმე კახელი ობოლი ქალი გამოიზარდა იქ.

მცხეთა შორს არისო! როცა რკინის გზა არ იყო კახელებს არ ეშორებოდათ, და ეხლა ეშორებათ, როდესაც დღეში სამჯერ ავა და ჩამოვა ტფილისიდამ მცხეთას?

აჰნაირად ტფილისში დარჩა მთლად ეს სასწავლებელი.

შემდეგ ამისა წაკითხულ იქმნა წინადადება — ეპარქიალური ქალების სასწავლებლის განკარგებისათვის ეს ფულებია საჭირო და ჯიბეს ხელი გაიკარითო:

ა) ქართული და რუსული ენის გაძლიერებისათვის — — 360 მ.
ბ) წიგნთ-საცავის გასამართად — — — — — 500 მ.
გ) წერის სასწავლებლად პირველ კლასში — — — 360 მ.
დ) ქართული წერა-კითხვის გასაძლიერებლად — — 200 მ.
ე) მასწავლებელთ ჯამაგირის მომატებისთვის — —5000 მ.
ვ) ავად-მყოფოსთვის — 600 მ.
ზ) ფიზიკური კაბინეტის გასამართავად — — — — 900 მ.
ი) სახლის შესანახად— — 120 მ.
თ) სახლის გასადიდებლად—30000მ.

სულ — 38,040 მ.

ამა წინადადებასა სამღვდელოებამ ახლოც არ გაუარა; მხოლოდ ქართული ენის გასაძლიერებლად 200 მან. მოუმატა ყოველ წლივ.

სახლის გასადიდებლად 800 მ. გადასდო ერთ დროულად; სხვა ფული თუ დასჭირდეს მონასტრებიდამ და ეკკლესიებიდამ მოგროვდესო.

საქართველოში არის მონასტრები: ქვათახევის, შიომღვიმის, დარიას, დავით-გარეჯის, იოანე ნათლის-მცემლის, ხირსის, წმიდა ნინოსი, შუამთა ალავერდის,—სულ რვა. აქედან შიომღვიმე, დავით გარეჯა, იოანე ნათლის-მცემელი, ხირსა და წმიდა ნინო თვით ითხოვენ შემწეობას; დარჩა ქვათახევი, დარია და შუა-მთა.

ან ამ მონასტრებმა და ან სხვა ეკკლესიებმა იმდენი რა უნდა შესწირონ, რომ ყველა ზემოხსენებული მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქმნენ, თუ სამღვდელოებაც არ შეიწუხებს მცირედად თავს.

მეორე კრება ხვალ, 25-ს იქნება დილის 10 საათზე.

## დღიური

ტფილისელი კორრესპონდენტი გაზ. „რუსის კურიერისა" იწერება ამ გაზეთში.

„ყურადღებით და მიუდგომლობით შეისწავლა აქაური სამჯავროების საჭიროებანი სენატორმა ბერმა, რომელმაც ამ ცოტა ხანში დასტოვა ჩვენი მხარე და ჭეშმარიტად სამართლიან გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ ნორმალურად წარმართვისათვის მმართლ მსაჯულებისა და სამჯავროების სარგებლიან გზაზედ დაყენებისათვის კავკასიაში საჭიროა, მოსამართლეებად დაინიშნოს ისეთი პირნი, რომელნიც გაცნობილი არიან ადგილის ენასა და ჩვეულებათ".—მაგრამ აქ ერთი დაბრკოლება ხვდება კაცს წინ, აგრძელებს კორრესპონდენტი, სად არის ისეთი პირნი, რომელთაც შეეძლოთ ამ გვარი თანამდებობას ალსრულება და რომელთაც მიეღოსთ უმაღლესი განათლება და ადგილის ცხოვრებასთანაც ახლოდ გაცნობილი იყვნენო. ამისათვის ხსენებ. კორესპ. საჭიროდ სთვლის კავკასიაში გაიხსნას უმაღლესი სასწავლებელი, რომლისთვის ქ. ქ. ტფილისმა და ქუთაისმა ერთ ხნობით შესწირეს 140 ათ. მან. და ამას გარდა ბევრი სხვა წყაროებიც აღმოჩნდება, რომ ეს საკეთილო საქმე და

## (დროების) ფელეტონი, 26 ნოემბერ.

### მიწერ-მოწერა *)

ქ. გორი, 10 ივნისს.

უძვირფასესო მიხეილ!

მე, როგორც იტყვიან, ღვთისა და ბატონის წყალობით, შევასრულე წელს საოსტატო სემინარია. მომილოცე, შევასრულე! დღეს მე აღარ ვითვლები ბავშვად. უნდა შევირიცხო მამულის-შვილთა რაზმში! მე მისრულდება, ძმაო, ჩემი დიდიხნის გულის წადილი, მივდივარ ჩემს ხალხში! ამ ხალხს უნდა ვემსახურო, შევწირო ჩემი ყმაწვილ-კაცობა, ჩემი ცოდნა, ჩემი განათლება. მე გამამწესეს მასწავლებლად სოფ. მალაროში, ესე იგი, ჩემ მშობელ სოფელში, საყვარელ ქიზიყში. ქიზიყი! ოჰ! რამდენი ტკბილი მოგონება მაქვს შეთვისებული ამ სახელთან, მაგრამ, ასი იმდენი მწარეც! სოფლის მასწავლებელი! რა ასპარეზია! იგი არის ყველაზედ მდაბალი ჩინოვნიკურს იერარქიაში, ყველაზედ მივიწყებული, არ საკადრისი ჩინების და სიმდიდრის მძებნელთათვის, მაგრამ, იმავე დროს იგი არის ასპარეზი უმანკო, პატიოსანი, მნიშვნელობით სავსე და თვისის საზოგადო სარგებლობით აღემატება ყველა სხვა ასპარეზს. ეს, ძმაო, მიხეილ, შენც კარგად იცი, რომ მარტო ჩემი საკუთარი აზრი არ არის. ამ ნაირადვე სჯის ყველა დაწინაურებული ხალხი.

რა დიდი ხანია, რაც პრუსიელებმა თავ-პირი დაამტვრიეს ფრანცუზებს და დიდი კონტრიბუციის გარდა ელზას და ლოტარინგია წაართვეს. ვის მიაწერეს ეს გამარჯვება? პრუსიელ სოფლის მასწავლებელს, არა?! პრუსიელმა სალდათებმა ისე ზედ-მიწევნით იცოდნენ საფრანგეთის გეოგრაფიული მდებარება, როგორი ცოდნა ფრანცუზის აფიცრებსაც უჭირდებოდათ. აბა, ასეთი ძნელი საქმე დაჰმართა სოფლის მასწავლებელმა ისეთს დიდ სახელმწიფოს, როგორიც არის საფრანგეთი.

თუ ასეთი მნიშვნელობა ჰქონია სოფლის სკოლას.

ამ ორიოდე სიტყვიდამაც ჰხედავ, ძმაო, რომ მე არა თუ მომწონს ჩემი მომავალი შრომა, არა ეს ცოტაა! მე გატაცებული ვარ იმით, მითი ვცოცხლობ. ვიცი რომ ხალხი, რომელთანაც მექმნება საქმე, მდებს დიდ მოვალეობას, რომ ვიშრომო მათში და მათთვის? ვიცი, რომ ყველაზედ ნაკლებ იმას შეუძლიან დააფასოს თავის ერთგული მუშა და დაადგას დაფნის გვირგვინი, მაგრამ მე ჩემი თავი იქამდინ ჯერ არ დამიმდაბლებია, რომ ჩემი ახალ-კაცობა მოვკლა ჩინების, ეპოლეტების და ჯვარ-მენდლის ძებნაში. რომელი ჯილდო შეედრება იმ წმიდა გრძნობას, რომ შენ არა ხარ მეტი საპალნე ამ ქვეყნისა და შენის შრომით ცოტათი მაინც ჰშველი თანამედროვე ცხოვრების დახლართულ კითხვის ლხნას.

ხალხის გონებით და ზნეობით აღზრდაზედ არის დამოკიდებული მთელი ერის და კაცობრიობის ავ-კარგი,

*) სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ეს სტატია ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც ავტორისგან იყო დაწერილი.

დაუშრეტელი სურვილი ბოლოს შეუსრულდეს კავკასიას.

* * *

Დასამატებლად კორრესპონდენციისა ფოთიდან, დღეს რომ იბეჭდება ჩვენს გაზეთში; ვწერენ ფოთიდან:

„კრებამ ესე გაანაწილა ჯამაგირები: ქალაქის თავს, ბ. ვახრამოვს—2000 მ., წევრთ გამგეობისა ბ. Ლ. ჭიჭინაძეს და წ. რაგოზიანს (ამათ კანდიდატებად არიან ამორჩეულნი Ი. ზასანჯალალოვი და მ. Თურქია)—1000 მ. თითოს, სეკრეტარს. Ი. ტატიშვილს—1200, ბუღალტერს—600(?), ორ გადამწერთ—700 მან.: სახლის ქირისათვის გადაიდვა 400 მან., კანცელიარიის მასალებისათვის—600 მ. სტოროჟს—240 მ., დამტარებელს—240 მ. და სხვა-და-სხვა ხარჯებისათვის 500 მ.

Აქვე ამ საგანზედვე არ შეგვიძლიან, ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ. Ამ ახლად დაწყებულს საქმის თაობაზედ ქ. ფოთში თითქმის მუდამ ხან ორს და ხან სამს წერილს ვღებულობდით ამ ერთ კვირაში და საქმე იმაშია, რომ ეს წერილები ყველა ერთი მეორეს ეწინაალმდეგებოდნენ შინაარსით; მაგ. ერთ წერილში ვკითხულობთ, რომ პირველი წევრი გამგეობისა ბ. ჭ—ძე სრულებით სანდო პირი არ არის, შეიძლება ოდესმე ფოთის ბედი მას ჩაუვარდეს ხელში და ვაი, ჩვენი ბრალი მაშინაო; მეორე წერილი გვაცნობებს იმავე წევრზედ—ჭეშმარიტად საქებია მისი მოქმედებაო, მთელი თავისი ჯამაგირი ქალაქს შესწირა მან და დაგვპირდა უსასყიდლოდ სამსახურიო: ეხლა გვწერენ—ჯამაგირები დაენიშნათ და გადაწყვეტილია ყოველივეო... რას უნდა მიეწეროს ამდენი ერთი მეორის წინაალმდეგი აზრები. სამწუხაროა, თუ ესე ადრე გაიმართა ხრიკები, ინტრიგები ამ, ჯერ ნორჩ, დაწესებულებაში.

* * *

Გაზ. „მოსკოვის ტელეგ.“ სიტყვით თ. Დონდუკოვ-კორსაკოვის პროექტის მუხლები კავკასიის სამართველოებში მოსახდენ ცვლილებათა შესახებ უკვე წარდგენილ არიან სადაც ჯერ იყო განსახილველად.—როგორც ხმებიაო, ეს ცვლილებანი მომავალი წლის შუამდე არ მოხდებაო.

* * *

„კავკაზს“ აცნობებენ ტელეგრამმით, რომ 23 ნოემბერს გუდაურსა და კობს შუა დაუთოვია და მარხილის გზა გახსნილა.

* * *

მომავალი წლის იანვრიდან შევა ძალაში უმაღლესად დამტკიცებული წესდება სამემკვიდრო ქონებათაგან გადასახადზე.

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

—

ᲤᲝᲗᲘ, 21 ნოემბერს. Ამ წლის ბოლოს ჩვენ, რომლებიც ბათომმა გვარიანად დაგვამუხლისთავა, თითქო რაღამაც გაგვიღიმა. Დიდი ლოდინის შემდეგ ჩვენც ვეღირსეთ სამოქალაქო თვითმმართველობას. 21 ნოემბერს მოხდა უკანასკნელი კრება ჩვენი ხმოსნებისა, რომელთაც ამოირჩიეს წევრები, მათი კანდიდატები, სეკრეტარი და სხვა მოსამსახურე პირნი.

Კვირას დილიდგან სალამომდის ერთი ჩოჩქოლი და „ურა, ურას“ ძახილი ისმოდა ყოველ ქუჩაზედ. Ხმოსნები შეიკრიბნენ ექვს საათზედ დანიშნულ ზალაში, სადაც მ. მლ. ბ. მაჭაროვმა პარაკლისი გარდაიხადა და ხმოსნები დააფიცა. Ფიცის შემდეგ ბ. თავსმჯდომარემ (იგივე ქალაქის თავია) კრებას მოკლე, დაახლოვებით შემდეგის შინაარსის, სიტყვით მიმართა: „ბატონებო, მოგილოცავთ ყველას, რომ ჩვენი ქალაქიც ეღირსა თვითმმართველობას. Სულით და გულით ვისურვებ, რომ მას აღესრულებინოს თავის დანიშნულება პატიოსნად და სასარგებლოდ ქალაქისა და საზოგადოებისა. Ყველანი ჩვენთაგანი ხედავს ჩვენ საჭიროებას და ქალაქის ცუდ მდგომარეობას, ჩვენ დღეიდან თანახმად და სინიდისიანად შევუდგებით ჩვენ საქმეს და, იმედია, რომ მიზანს მივაღწევთ. Ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გვაწევს დიდი მოვალეობა. Პატარა ყმაწვილები ჩვენგან მოითხოვენ სკოლის მომატებას და გაუმჯობესობას, ქალაქი — სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობას და ათას სხვას. Იმედია, ყველა თქვენთაგანი რიგიანად მოიქცევა, რომ შეცდომაში არ ჩავარდეთ და საზოგადოებისაგან საყვედური არ დავიმსახუროთ“.

Შემდეგ დაიწყეს სჯა წევრების ამორჩევაზედ. Წარმოადგინეს კანდიდატები მარტო ორი და უყარეს კენჭი. Გასაკვირველია, რომ კრებამ ორი კანდიდატის მეტი კენჭის საყრელად არ მიიღო. Ერთმა ხმოსანთაგანმა კი მოითხოვა, რომ კანდიდატები ოთხი მაინც შესულიყო კენჭში, მაგრამ კრებამ უარი განაცხადა. Გამოიყვანეს ორი კაცი და იმათ უყარეს კენჭი, რომლებისთვისაც კენჭის-ყრა საჭიროც არ იყო. Ისინი ორივე ამოირჩიეს. Მერმედ უყარეს კენჭი მათ კანდიდატებს იმავე ნაირად. Შემდეგ სეკრეტარსაც უყარეს კენჭი და ისიც უკონკურენტობისაგამო ამორჩეულ იქნა. Დაბოლოს შეიქმნა კარგა დიდხან ჩოჩქოლი ჯამაგირის დანიშვნაზე და სახლის ქირაობაზედ. Აქაც გვარიანი გამჭრიახობა გამოიჩინეს. Არც ერთ არ სცოდნია, თუ ქალაქს რამდენი შემოსავალი აქვს და უცებ ჯამაგირებს კი უნიშნავდნენ. Ის იყო დაეთანხმენ ამ ნაირად ჯამაგირის დანიშვნას, რომ ბ. ჭ—მ. კრებას მოახსენა მათი შეცდომა და ურჩია, გაიგონ ჯერ შემოსავალ-გასავალი და ისე დაინიშნოსო ჯამაგირი. Კრებამ მაინც დაუნიშნა სამს და სხვების კი მერმესთვის გადადო.—Ამ ნაირად ამ ოც-და პირველის რიცხვიდგან „დუმა“ შეგვიდგა და კიდევაც შეუდგა თავის საქმეს.

Რადგანაც ქალაქი ძლიერ შევიწროებაშია მატერიალურის მხრით, ამიტომაც ამორჩეულ პირებს ჰმართებს დიდი გაფრთხილება და მეცადინეობა, რომ აღმოაჩინონ ისეთი წყაროები, საიდამაც ქალაქს შემოსავალი მოემატოს; ესეთ წყაროთაგანნი ქალაქისა არიან: ხიდი, [illegible] რომელიც პოლიციას [illegible] შეუთხელებია, და კიდევ ბევრი რამ შეიძლება აღმოჩნდეს.

ფუქსაძე.

ᲒᲐᲜᲯᲐ, 22 ნოემბერს. Ვწუხვარ მკითხველო, რომ უნდა შეგაწუხო სულ კაცის კვლაზე და ავაზაკობაზე ლაპარაკით, რომელიც ისე გახშირდა ამ ქალაქში, რომ ქუჩაში ვერ გაუვლია კაცს სალამოს შვიდი საათის შემდეგ. Მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ იმ ნაირ უკუღმართ დროში ვცხოვრობთ, რაც ათასჯერ თქმულა, იმაზე გვინდება ლაპარაკი. Თქმულა, რომ ქ. განჯის პოლიციას სძინავსო, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია; თქმულა, რომ ღამის ყარაულებს მომატება ეჭირვება, მაგრამ, ვინ არის კაცი-პატრონი. Მის მაგიერ, რომ პოლიციამ ყური ადევნოს, თუ ქალაქში რა ხდება, ქეიფში ატარებს დროს: ჩაუჯდებიან აქაურ კლუბში ბანქოს (კარტის) თამაშს და ატარებენ დროს გათენებამდინ, მეორე წყება „ამერიკის“ სასტუმროშია. Დღე არ გავა, რომ ვინმე არ გაცარცვონ დღე არ გავა რომ ვინმე არ მოკლან, ასე იფიქრეთ ბ. გუბერნატორის სახლშიაც ბედვენ შესვლას.

Წუხელ ღამით, 11 საათზე ერთ სომეხს ფაიტონით მომავალს დაეცნენ სამი თათარი და ჩასცეს ხანჯალი გულში; ეს მოხდა კლუბის წინ, სადაც აქაური ინტელიგენცია ატარებს დროს; ავაზაკები გაიქცენ და დაჭრილი ცოცხალ-მკვდარი აგდია მიწაზე. Ვინაა პატრონი.

Აქეთ ვიყვირეთ, იქით—გოროდოვოი! ხმას არავინ იღებს; შეატყობინეს ბ. პრისტავს Აგამალოვს, რომელიც კარტის თამაშში იყო გართული. Მისი პასუხი ეს იყო:—მე დღეს „დეჟურნი“ არა ვარო, ჩემი საქმე არააო; მერე ბ. პოლიციმეისტერს უთხრეს, რომელიც იქვე იყო, მან მაშინვე გასწია პოლიციაში, სადაც წაიღეს ფაეტონით ცოცხალ-მკვდარი სომეხი; რასაკვირველია დაფაცურ-

---

მართლაც და რაზედ არის დამოკიდებული და დამყარებული ყოველ გვარი უსამართლობა, მტარვალობა, ჩაგვრა დიდისაგან პატარისა, ათას-ნაირი უსწორ-მასწორობა, თუ არ ხალხის გაუნათლებლობაზედ, მის ცრუ-მორწმუნებაზედ.

Ამ სასაცილო არევ-დარევაში, აზრების ცხოვრებასთან ვერ—შეთანხმებაში დიდხანს გასტანდა სიცოცხლე, რომ მალე არ ამოეძებნათ მსწრაფლ მომსპობი წამალი ამ სენისა. Დაერივა შეგნებილი ხალხი, ახალ-თაობა მდაბალ ხალხს, ასწია მისი საზოგადო აზრი მაღლა, შეაგნო ახალი ცხოვრების სიკეთე, შეაძულა მაშინდელი ცხოვრება თავისი კრეპებით, აღუძრა და აულელვა გრძნობა, და მოიყვანა ის ამ რიგად მოძრაობაში.

Თუმცა ამ მოძრაობას ყველას ის კარგი შედეგები ვერ მოჰყვა, რომლებიც ჰქონდათ სახეში საქმის მეთაურებს, მაგრამ მაინც ცხოვრებამ დიდი ბიჯი გადადგა წარმატების გზაზედ. Და მაინც კიდევ ამ მოვლენამ გასდო ისტორიული ხიდი.

Ბევრისაგან გამიგონია, ძმაო, რომ რა არის სოფლის მასწავლებელიო, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მის წერა-კითხვასაო? მეც ვგრძნობ, რომ ეს აზრი არ არის მცირედს სიმართლეს მოკლებული, როდესაც ვხედავ ზოგიერთს ჩვენ მასწავლებლებს, რომლებიც თავიანთ თავს სთვლიან ანბანის „მასტერებად“ და მოქმედების ასპარეზს ჰხედავენ ერთსართულიან სახლში კრამიტით ან ჩალით დახურულში, შიგ სკამებით, სურათებით და ხატით მორთულს. Მაგრამ მე სხვაფრივა მაქვს წარმოდგენილი ჩემი მოღვაწეობა. Ჩემი სკოლა ჯერ ერთი მარტო წერა-კითხვას არ ასწავლის, არამედ კიდეც აღზრდის ხალხს ზნეობით და მეორე, სკოლა არ მექნება ისე ვიწროთ წარმოდგენილი, როგორც ზევითა ვსთქვი. Ჩემი სკოლა იქნება მინდორშიაც ხის ქვეშ, სადაც დაღლილი გლეხები იკრიფებიან შესასვენებლად და შესვენებაზედ უფრო ძრიელ უნდათ ერთი ცოცხალი სიტყვა გაიგონონ, საყდრის გვერდზედ მეიდანზედაც, სადაც კვირაობით გლეხები იყრებიან და ყაყანებენ, სადილზედაც, სადაც, ცოტად გადაკრულნი, მზად არიან თუნდა მთელი დღე გებაასონ; დუქანშიაც, სად ხშირად იკრიფებიან სოფლის მსაჯულები საქმეების გასარჩევად—ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც-კი მექმნება შემთხვევა გლეხს გავება ლაპარაკში. Აი, თუ ესე კაცი იმასწავლებლებს, ვგონებ, ამაზედ ვერ იტყვიან ზევით ნახსენებ სამდურავს.

Ახლა კი კმარა, შევიკავო ენა, თორემ ისეთი წერილი მომდის, თითქოს მე შენ განათლებდე. Შენ, რასაკვირველია, ჩემზედ უკეთ იცი ყველა ის, რაზედაც გწერ, მაგრამ მინდოდა, ერთი ჩემი აღტაცება შენთვისაც გამეზიარებინა.

*P. S.* მაგრამ, წარმოიდგინე, მიხეილ, უცებ რა ელდამ გამიარა თავში! მინდა ეს წერილი დავხიო, აღარ გამოგიგზავნო. Უცებ გამახსენდა, რომ ქართველი ვარ. Წარმოიდგინე ქართველის ყველა საქმეში ჯერ აწიწაკება, აპილპილება, ერთი ჰაი, ჰუი! და მერე კი დამშვიდება, კიბოსავით უკან ძრომა და საქმის თითქმის უყურადღებოდ დანარჩუნება. Ასე იფიქრე, უცებ მაგალითებიც წარმომიდგა: აი, თუნდა ჩვენ ეხლანდელი თავადაზნაურთა კრებები, მათი გარდაწყვე-

...ღნენ, კუჩერმა გასცა, რომ ეს და ეს იყოო, ისინი დაიჭირეს მეორე დღესვე. მაგრამ სომეხი ექიმების შემოწმებით არ მორჩებაო.

ორი კვირაა, რაც სოფ. შამშადინში გაგზავნილია 100 ყაზახ-რუსი გამოჩენილ ავაზაკის თან-ღერვერდის დასაჭერად, მაგრამ ჯერ არაფერი ისმის, დაიჭირეს თუ არა. ეს ის ავაზაკია, რომელიც მთელ კახეთს აწუხებდა, რომელსაც არა ერთხელ დაურღვევია მშვიდი ცხოვრება კახელებისა, რომელსაც ასობით და ორასობით ცხვრები, ცხენები, ხარები და სხვ. გადმოურეკია კახეთიდამ და რომელსაც ბევრი ადამიანიც გაუსწორებია ამ სოფელს.

თან-ღერ-ვერდი სცხოვრებდა აქამდის სოფ. შამშადინში თავისუფლად, კაცი ხმას არ სცემდა, მაგრამ ეხლა, როდესაც მთლად აიკლო იქაურობა, მცხოვრებლებმა იჩივლეს ბ. გუბერნატორთან, რომელმაც გასცა ბრძანება უთუოდ მისი დაჭერასა; უწინდელი აქაური მაზრის უმფროსი, მეტად ყოყმანებდა ამ საქმის ასრულებას, ბევრი სხვა ხმებიც იყო დავარდნილი.

თან-ღერ-ვერდის უნდოდა მთაში დამალვა, ბ. გუბერნატორის განკარგულება რომ შეიტყო, მაგრამ ზოგიერთების რჩევამ დააიმედაო. იმავე ღამეს, 12 საათზე მისს სახლს შემოერტყნენ მაზრის უფროსი ყაზახებით და დაუშინეს ტყვიები თან-ღერ-ვერდის სახლს ყურებს, როგორ იფიქრებდა, რომ მას უღალატებდნენ ისეთი იმედების შემდეგ. ბოლოს იგრძნო, რომ მისი საქმე გლახად იყო, დასცა ხანჯალი მუცელში მაზრის უფროსისგან გამოგზავნილს თათარსა, რომელიც იქვე უსულოდ დავარდა და გამოვარდა გარეთ. შეიქნა თოფების სროლა, მაგრამ როდესაც თან-ღერ-ვერდიმ ორი ყაზახი—რუსი და ერთი პრისტავი გააგორა,—მოიღლიტეს ქუდი და ...ენ ხარ მამაცის ყვირილით მოქუსლეს.

დილით აებარგა ჩვენი თან-ღერ-ვერდი თავის ცოლ-შვილით და გასწია მთებში.

ყველა ეს აცნობეს ბ. გუბერნატორს. ხელმეორედ გაიცა ბრძანება, რაც მომხდარიყო დაეჭირათ.

დამარწმუნეს რომ თან-ღერ-ვერდის 20-25 კაცამდე ჰყავს მოკლულიო, მაგრამ აქამდინ ხმა არავის გაუცია და ვერც ეხლა უხმენ რასაო!

ვ. ჭოლდველი.

## ბიბლიოგრაფია

(დასასრული *)

ქართველმა განათლებულმა და წერა-კითხვის მცოდნე კაცმა ეს წიგნი რომ არ შეიძინოს გვგონია, დიდი დამნაშაობა იქმნება, იმიტომ, რომ ამ წიგნს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს წინაპართ შინაურული ცხოვრების შესწავლისათვის, ვიდრე თვით „ქართლის ცხოვრებასა", რომელიც თითქმის სრულიად არ შეეხება ქართველთ შინაურს ცხოვრებას, გამგეობას, წყობილებას, ხალხის ჭკუისმდგომარეობას, ლტოლვილებას, ზნეს, ჩვეულებას, ცრუ მორწმუნოებას ქართველი კაცის გულის სიკეთეს და სიქველეს;—ბ. საბინინის-მიერ გამოცემული წიგნი „სამოთხე" კი ყველა ამას ცოტად თუ ბევრად მოგვითხრობს. ამ წიგნის ამ გვარის სიკეთისა გამო, ვამბობთ, რომ ვისაც ის არა აქვს, ის ნურასოდეს ნუ იფიქრებს, რომ საქართველოს ისტორია მაქვს შესწავლულიო. ეს წიგნი „სამოთხე" არამც თუ „ქართლის ცხოვრების" დამატება არის, არამედ არის მეჩვენებელი იმ ზნეობითი ძალისა რომელიც შეადგენს თავკუთხედს ქართველთა მეფეთა, მეომართა და ერის ცხოვრებისა. ამ წიგნიდან შეიტყობა ის მიზეზი, რომელმაც დაიცო საქართველო 15 საუკუნის განმავლობაში უძლიერესი აზიის მეომართაგან. მასში ბევრია აგრეთვე ისტორიული ცნობები, რომელნიც არ არიან მოხსენებულნი „ქართლის ცხოვრებაში". წმიდათა მამათა ცხოვრების გაგება, ხომ რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის სრულიად ახალია. „ქართლის ცხოვრება" იმათზე თითქმის არას ამბობს. ის მოგვითხრობს მხოლოდ წმიდა ნინოზე, ქრისტიანობის გავრცელებაზე და მეფე არჩილ მოწამეზე. დანარჩენი წმიდანების ცხოვრება და ღვაწლი კი მისგან არის უყურადღებოდ დატოვებული. წიგნი „სამოთხე" შეავსებს, ამ ნაკლს მისას. იქ არის ნათქვამი სამღრთო და საეკკლესიო წიგნების მთარგმნელებზე, მესტატი ეპისკოპოსის მოსვლაზე ანტიოქიდგან საქართველოში წმიდა ნინოს თხოვნით (იხ. გვ. 96). ქართველთ უსწავლელობაზე და დაუდევარობაზე (გვ. 104 და 105), ძიზიყის დედოფალზე სუჯიზე, რომელიც წმ. ნინომ გამოგზავნა ძიზიყიდგან მირიან მეფისთვის მცხეთაში მისალოცავად, რომ კახეთი გაქრისტიანდაო, რუისის ეკკლესიაზე, რომ აქაური ეპისკოპოზი და მთელი ეპარქია თამარ დედოფლის დედის ბურდუხანის მზრუნველობაში იყო (გვ. 111), ათონის მთაზე მონასტრების აშენებაზე, აქაურს ბერების მოღვაწეობაზე, მათს კავშირზე რომის ბერებთან, ყმაწვილების სწავლებაზე, გიორგი მთაწმინდელის ბაასზე ანტიოქიის პატრიარქთან შესახებ საქართველოს ეკკლესიის დამოკიდებლობისა (გვ. 338—488), და სხვანი და სხვანი.

ამ ნაირი ახალი ისტორიული ცნობები ბ. საბინის წიგნს უძვირფასეს ისტორიულ მატიანედ ხდის საქართველოს წარსული ბედის ყოველის გარემოებითურთ შესასწავლად. თუ რომ საჭიროა, ის ჰქონდეს ყოველს ქართველს, რომელიც საქართველოს ისტორიას სწავლობს, მით უფრო უმეტეს საჭიროა, ის იქონიონ სახლში სასულიერო პირთ. ის ისეთი წიგნია, რომ ყოველს ეკკლესიას, მონასტერს და სასულიერო პირს უთუოდ უნდა ჰქონდეს, მეტადრე იმ მედავითნეებს (პრიჩეტნიკებს), რომელთაც სწავლა არ მიუღიათ სკოლებში და სამღვდელოდ კი ემზადებიან. ჩვენ გვიკვირს, რომ აქამდინაც არ უბრძანებია საქართველოს სასულიერო მთავრობას, რომ ეს წიგნი შეიძინონ მღვდლებმა, დიაკვნებმა, მონასტრებმა და ეკკლესიებმა; ეს წიგნი დიდს საჭიროებას შეადგენს ჩვენი სკოლებისათვისაც, რადგან იქ საქართველოს ეკკლესიის ისტორიას არ ასწავლიან; და ამ წიგნის საშუალებით შეუძლიანთ შეისწავლონ წმ. მამათა ცხოვრება.

ერთი რამ გავიგეთ ჩვენ, რამაც მეტად გაგვაკვირვა, ვითომც ამ წიგნის გავრცელებას ეწინააღმდეგებოდნენ და მიზეზად მოჰყავდეთ, ის რომ ბ. საბინინს ხელთ-ნაწერი ძველებური რვეულები თვითონ გადაესწორებინოს და გაეფუჭებინოს. შეგვიძლიან დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს აზრი ყოვლად უსაფუძვლოა. ბ. საბინინს ეკუთვნის ამ წიგნში მხოლოდ ის მცირე შენიშვნები, რომელიც გაუკეთებია ზოგიერთი ხელთ-ნაწერის ბოლოს. წმიდათა მამათა ცხოვრება კი სწორედ ისეა დასტამბული, უმეტნაკლებოდ, როგორადაც მატიანებში ყოფილა დაწერილი.

ბ. საბინინი არამც თუ სრულიად არ შეჰხებია ძველს ხელთ-ნაწერებს, წინა სიტყვაობაშიაც კი არ შეეხება მათს შინაარს კრიტიკულად. ის ისრეთის სასოებით არის აღჭურვილი წმიდანებისადმი, რომ ვერ ჰბედავს მათს ცხოვრების ამწერთ რაიმე გაუსწოროს, თუმცა კი შეიძლებოდა ეთქვა მაგალითად, რომ შუშანიკ და ქეთევან დედოფლის ცხოვრება არ არიან დაწერილნი არც თანამედროვეთაგან, არც საქართველოში. ისინი არიან დაწერილნი რუსეთში მე-XIX საუკუნის დამდეგს ქართველთაგან, რომელთაც ხელში უნდა ჰქონოდათ ძველებური ხელთ-ნაწერები. ესა სჩანს რუსული სიტყვებიდგან, რომელნიც მათში იპოვებიან. შუშანიკის ცხოვრების აღწერაში არის მოხსენებული სიტყვა ევანგელიე. ქეთევანისა—სტაკა (იხ. გვ. 181 და 588).

არ შეგვიძლიან აგრეთვე არ შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ წუნსა სდებენ ბ. საბინინის შრომას ზოგიერთნი სასულიერო პირნი იმისათვის, რომ, ვითომც, იმას სურათები თვითონ გადაეკეთებინოს უკეთესს კილოზე. არც აქ არიან ისინი მართალი.

*) იხ. „დროება", № 246.

---

...ვანი, ერობა, ნაფიცი მსაჯულები, ქართული ენა.... ჰაი, ჰუი! და მერე ...ეს ჩაჩუმება, თითქოს არაფრისთანა ...რა მომხდარა-რაო!! სადა?! როგორ?! ...ანა სთქვა?! ტყუილი გაგიგონიათ!! ...არმოიდგინე, რომ მეც ჩემი სიტყვები შემეცვალოს მარტივ სიტყვებად ...ა უცებ გული გამისკდა... მაგრამ, ...რა! შორს ეს ფიქრი, მაშ რაღად ...რიან მაგარი ხასიათები! არ ვუმტყუნებ ჩემს დროშას და აი გიგზავნი წერილს.

შენი ძმა და მეგობარი დიმიტრი

### პასუხი

ტფილისი, 20 ივლისს.

მივიღე შენი წერილი, ჩემო დიმიტრი! კურსის დასრულება და საზოგადო ასპარეზზედ გამოსვლა შენი ძალიან მესიამოვნა! წერილი შენი ორჯელ გადავიკითხე და რამდენადაც პირველმა კითხვამ მასიამოვნა და გამახარა, იმდენად მეორემ ჩამაფიქრა.... მიხარის, რომ ხარ, არა თუ კმაყოფილი შენი მოწოდებისა, არამედ გატაცებული მით. ხშირად ეს შეადგენს კეთილ-საიმედო საბუთს მომავალი შრომისას. ვეთანხმები იმაზედაც, რომ ჩვენ დროში თეორეტიკულ მოსაზრებებზედ ღარიბად არა ვართ და გვჭირია მხოლოდ და აუცილებლად პრაქტიკული მუშები; რომ ჩვენ სადილს შემდეგ, სავარძელში გადასვენებულნი, ადვილად და მახვილადაც ვსჯით მას. თუ ერის წარმატებისთვის რომელი გზა არის საჭირო: ეკონომიური თუ პოლიტიკური, თუ ორივე ერთად, მაგრამ ამას კი ვერ ვახერხებთ, რომ წავიდეთ და მართლა კიდეც ვიმუშაოთ ხალხში. ამ მხრით შენი საქმე საქები და დიდ მნიშვნელოვანია. შენ ძალიან სურვილს აცხადებ ხალხში შრომისას, ნორჩი ჯანი, ახალ-გაზდის ენერგიაც შენ ხელთ არიან და, რასაკვირველია, შენი შრომაც დაგვირგვინდება კეთილ შედეგით, თუ... აი აქ არის ის მუხლი წერილისა, რომელმაც მე ჩამაფიქრა:—თუ მომზადებული ხარ მეთქი მაგ გვარი შრომისთვის?

ხომ იცი, დიმიტრი, რომ მარტო სურვილი საკმარისი არ არის საქმის კარგად წაყვანისთვის აქ საჭიროა მომზადება! შენ წერილში ამას გამორკვევით ვერა ვხედავ და იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ სკოლა არ მოგცემდა ამ მასალას. ჩვენი სკოლა არ ამზადებს ყმაწვილ-კაცს ცხოვრებისთვის. ის ამზადებს ჩინოვნიკს, რადგან მთავრობას უფრო უღირს ეს უკანასკნელნი. არ ვიცი, ძმაო, გაქვს რამე პროგრამმა შედგენილი, შენი მომავალი შრომისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ხარ გაცნობილი იმ „ანბანთ", რომელიც უნდა გულის ფიცარზედ ჰქონდეს ამოჭრილი ხალხის მუშას. თუ ეს გაკლია, მერწმუნე ისეთი მასალა გკლებია, ურომლისოდაც ვერ მიაღწევ იმ მიზანს, რომელიც შენ აღგინიშნავს შენთვის.

შენი წერილი უფრო წააგავდა პატარა შესავალს დიდი საქმისას და მალე შეუდგეთ იმ საქმეზედ ლაპარაკს. მომწერე ხოლმე ყოველივე რაც შენ მარტო გაგიძნელდეს ასახსნელად და შეერთებულის ღონით იქნება მოვახერხოთ.

იქონიე სიმხნევე. მოთმინება და საქმის მოყვარულობა—სხვა თავისთავად მოვა....

შენი ერთგული მიხეილ.

მას ეს სურათები ზოგი შიგ რვეულებშივე უპოვია, ზოგი თვითონ გადმოუხატავს ეკკლესიებში, ზოგი კიდე გამოურთმევია მემკვიდრეთათვის ზაგარინისა, რომელმაც დახატა სიონის სობორო. მას მხოლოდ გაუმჯობესებია მხატვრობის ხელოვნებით, მაგრამ ისრე რომ სინამდვილე არ შეუშლია.

დასასრულ სრულის დარწმუნებით ვაღიარებთ, რომ ბ. საბინინის... წიგნი ძლიერ სინიდისიანად არის შედგენილი და გამოცემული, რომ ბ. საბინინი ღრმა მადლობას ღირსია ესეთი შესაძჩნევის განძის შეკრებისა შედგენისა და გამოცემისთვის. ფასი წიგნისა გამოწერით 17 მანეთია.

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

წელს გიმნაზიაში კურს შესრულებულმა ქალმა, სალომე ნასიძისამ გახსნა, სამოსწავლო მზრუნველის ნებართვით:

### ავლაბარში
### საქალებო სკოლა
და
### მოსამზადებელი კლასები,

დაზარევის ქუჩაზედ, ნიკოლაევის სკოლის ზევით, სახლი № 53.

(5—2)

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

| | |
|---|---|
| შეადარეთ წვენი ჩაი—1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ. |
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— ,, |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— ,, | — —3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ურაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კლეინკარი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—11)

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

### მიიღება ხელის მოწერა
### 1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგ ლობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედ ც.

(20—4)

### წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:

ცისარ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. გ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ.

(10—8)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1883 годъ
на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету
### „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.
### ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ достовкою въ Москвѣ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| На 12 мѣс. | 8 р. 50 к. | На 6 мѣс. | 4 р. 50 к. |
| „ 11 ,, | 8 ,, — „ | ,, 5 ,, | 3 ,, 90 ,, |
| „ 10 ,, | 7 ,, 50 „ | ,, 4 ,, | 3 ,, 25 ,, |
| „ 9 ,, | 6 „ 75 „ | ,, 3 ,, | 2 ,, 50 ,, |
| „ 8 ,, | 6 ,, — „ | ,, 2 ,, | 1 ,, 90 ,, |
| „ 7 ,, | 5 ,, 25 „ | ,, 1 ,, | 1 ,, — ,, |

Съ пересылкою въ города:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣс. | 9 р. — к. | На 6 мѣс. | 5 р. — к. |
| ,, 11 ,, | 8 ,, 50 ,, | ,, 5 ,, | 4 ,, 60 ,, |
| ,, 10 ,, | 8 ,, — ,, | ,, 4 ,, | 3 ,, 70 ,, |
| ,, 9 ,, | 7 ,, 40 ,, | ,, 3 ,, | 2 ,, 75 ,, |
| ,, 8 ,, | 6 ,, 70 ,, | ,, 2 ,, | 2 ,, — ,, |
| ,, 7 ,, | 5 ,, 90 ,, | ,, 1 ,, | 1 ,, 10 ,, |

За границу: на 12 м. 17 р.,
,, 6 ,, 9 р.,
,, 3 ,, 5 р.,
,, 1 ,, 2 р.

Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій мостъ, д. Н. П. Ланина, въ отдѣленіи конторы—близъ Петровки, Столешниковъ пер., д. Карзинкина, въ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы и С.-Петербурга и Парижѣ—Rue Clément, 4, Adam.

Гг. иногородніе благоволятъ адресоваться преимущественно въ контору изданія „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

*Редакторъ-издатель*
(5—3) *Н. П. Ланинъ.*

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### ეროვბა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### დედა და შვილი
და
### რამდენიმე ლექსი

თ. ილია ჭავჭავაძისა.
ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული
ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

### მამულის
### საერთო მფლობელობაზე

თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

# მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

გორში: მ. კერესელიძესთან.



### ბეკკერის თეატრი

პარასკევს 26 და შაბათს 27 ნოემბერს

მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული გაჩაღებით.

არა ჩვეულებრივი, საოცნებო და თვალთ-მაქცური

ბავშვების დიდი სასწავლო-სამხიარულო

# საღამო

პირველად იქნება წარმოდგენილი, სხვათა შორის:

ბავშვების საჩუქრების დარიგება

კანფეტების შხაპუნა წვიმა.

ყველა ადგილების ფასი შემცირებული.

ბილეთების ყიდვა წინათვე შეიძლება.

დაიწყება 5 საათზე.

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Ноября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი